საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 22 თებერვლის
დადგენილება № 412[1]

სასწავლო პროგრამების ინგლისურ
ენაზე სწავლების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს მიმდინარე წლის 25 მარტამდე წარმოადგინონ იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა ინგლისურ ენაზე სწავლებისათვის მოახდენენ არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებას.
2. დაევალოს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრულ პროფესორს ნუგზარ სიხარულიძეს უზრუნველყოს ფაკულტეტების მიერ წარდგენილი პროგრამების ინგლისურ ენაზე თარგმნა და ნათარგმნი პროგრამების წარმოდგენა.
3. დაევალოს სტუ-ს ყველა ფაკულტეტის დეკანს წარუდგინონ პროფ. ნ. სიხარულიძეს კურიკულუმების, სილაბუსებისა და იმ პროფესორთა სია, რომლებიც უზრუნველყოფენ ლექციების ინგლისურ ენაზე წარმართვას.
4. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული პროცედურა დასრულდეს მიმდინარე წლის 25 აპრილამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**